04.05.2026 წ.

ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი ს/კ 01.10.13.016.176

ასაშენებელი საოფისე შენობის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე საოფისე შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, გიორგი სააკაძის II გასასვლელი ს/კ 01.10.13.016.176 საოფისე შენობა 9 სართულიანია, 2 მიწისქვეშა და 7 მიწისზედა სართულით.

მშენებარე შენობას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან დაახლოებით 2 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.13.016.062, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 14 მეტრის მანძილზე ესაზღვრება სამანქანო გზა, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 8 სართულიანი შენობა (2 სართული არის მიწისქვეშა, 6 მიწისზედა) რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.16.016.073, სამხრეთ-დასავლეთ მხარე დაახლოებით 22 მეტრის მანძილზე ესაზღვრება სამანქანო ბოქსები მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.13.016.060

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები:

კონსტრუქციული პოექტის მიხედვით ასაშენებელი შენობა ღერძებში არის **31.40 X 59. 00 მ**; მაქსიმაური მალი ღერძებში შეადგენს **L=6.00 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს **H=3.45 მ.** შენობის პირობითი ნიშნული - **±0.00**, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული **+405.50**

შენობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.10.13.016.176) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა 800 მმ იანი სისქის რკბ-ის საძირკვლის ფილით ეფუძნება ძირითად ქანს **ფენა-3 -ს R_c=14 მპა.**

გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის საძირკვლის ფილის მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს.

ქვაბულის მოწყობის დაწყებამდე მშენებარე შენობის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (ს/კ 01.10.13.016.062), „1“ ღერძი მიმდებარედ, „H-E“ ღერძებ შორის გათვალისწინებულია ქვაბულის გამაგების სამუშაოები. 16მ სიგრძეზე, 1.6 მ-ის ბიჯით, შენობის გასწვრივ, ჯამში 11 ხიმინჯი, სიგრძის 11.55 მ, Ф800 მმ დიამეტრის რკბ-ის ხიმინჯების მოწყობა, რომელიც შეკრულია 600X1000 რანდკოჭით. ქვაბულის დანარჩენ ზონაში გრუნტის მოჭრა ხორციელდება ქანობების საშუალებით.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის გამაგრებითი სამუშაოებიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.10.13.016.062, 01.10.16.016.073 და 01.10.13.016.060), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

ინჟინერ-კონსტრუქტორი:  ალექსანდრე მჭედლიშვილი